ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს	საზოგადოებრივი მეცნიერებები -გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეაში საკითხთან ერთად ასახული იყოს შემოქმედებითი პროდუქტი; (მე-11 კლ.გეოგრაფია; მე -10 კლ. ისტორია)
ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა - კურიკულუმის ჩარჩოებში ასახეთ საათობრივი განაწილება,თუ რამდენ საათს უთმობთ თემას
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკა -სკოლის მათემატიკის, ისტ-ისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე, მათემატიკის მასწავლებლებმა გააძლიეროს მათემატიკის როლი არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებას, ასევე მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.



ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა- მათემატიკის X კლასის კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლაში არსებული საბუნებისმეტყველო კაბინეტი უზრუნველყოფს მოსწავლეებში კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას ,ასევე კვლევითი უნარჩვევებისა და არაფორმალური განათლების პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობას , რადგან აქ საკმაოდ არის ამისთვის საჭირო რესურსები(პლაკატები,ტაბულები,მულაჟები და სხვა).საბუნებისმეტყველო კაბინეტში არსებული მარაგი შენახულია შესაბამისი უსაფრთხოების დაცვის წესით.მიუხედავად, იმისა რომ კურიკულუმით გაწერილი აქტივობები,ექსპერიმენტები ტარდება ლაბორატორიული წესების მაქსიმალური დაცვით, მიზანშეწონილია აღნიშნული ცდების ჩატარებისას გამოყენებულ იქნას ცეცხლგამძლე ზედაპირი, გამწოვი კარადა ან სავენტილაციო საშუალება.
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა- სასწავლო პროცესში ძირითადი სასწავლო რესურსის -გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების შერჩევის პროცესი ასახული იქნას შესაბამისი კათედრის სხდომის ოქმში.
ინდიკატორი 2.2.2.2	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	საზოგადოებრივი მეცნიერებები -სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში რესურსები მითითებულ იქნას ყველა შესასწავლ საკითხთან (მოქალაქეობა, გეოგრაფია).



ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უცხოური ენები- განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებში, მოსწავლეებთან წარდგენამდე დაზუსტდეს კონკრეტული საკითხი თუ რა საკითხის გარშემო ხდება კომპრეტული აქტივობის შეფასება. განმავითარებელი რუბრიკების მოდიფიცირება მოხდეს ისე რომ კონკრეტულად იყოს აღწერილი შუალედური მიზნის კრიტერიუმებთან მიმართების მოსწავლესთან მიმართებით მოლოდინები. სპორტი- პედაგოგს მიეცა რჩევა, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაოს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	მომდევნო სასწავლო წლიდან მოსწავლის ნამუშევრების შეფასების განხილვა და ანალიზი სასურველია მოხდეს მოსწავლეთა პორტფოლიოებზე დაყრდნობით და შეფასებისას გამოყენებული იყოს საერთო კრიტერიუმები, რაც გულისხმობს მასწავლებლების საერთო ხედვაზე შეთანხმებას, მათ მიერ ისეთი ინსტრუმენტის შემუშავებას, რაც საშუალებას მისცემს მათ შეაფასონ მოსწავლის დინამიკა თანმიმდევრულად დავალებიდან დავალებამდე, შეფასებიდან შეფასებამდე.



ინდიკატორი 2.2.1.5	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით	1. სასკოლო სასწავლო გეგმაში, თავი-„მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა“ დაემატოს ჩანაწერი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შეგროვებული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. 2. 2024-2025 სასწავლო წლისთვის სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმაში, თემა-„მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით“ გაითვალისწინოს ცვლილებები 2023 წლის 17 ნოემბრის, ბრძანება № 124/ნ-ის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში კონკრეტული სკოლისთვის მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს მონაცემთა მიზნობრიობა, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესები, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. განისაზღვროს ინდიკატორები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები. <i>(სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2024 წლის 7 მარტის № 2-13 ბრძანებით. ეს ძალაში მოკლე პერიოდია იმისთვის, რომ გამოიკვეთოს მეთოდოლოგიით განსაზღვრული სრული ციკლი. აქედან გამომდინარე, სკოლაში დაწყებულია პირველადი პროცესები, თუმცა სკოლას აქვს წინარე გამოცდილება სწავლა/სწავლების ხარისხის მართვის მიმართულებით და</i>



		<i>მონიტორინგსა და შეფასებას აქტიურად იყენებს კურიკულუმის განვითარებისათვის)</i>
ინდიკატორი 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში უნდა იკვეთებოდეს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები. მონიტორინგმა და შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.
ინდიკატორი 2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	სკოლამ მონიტორინგთან და შეფასებასთან დაკავშირებული პროცესების ამსახველი დოკუმენტაცია გააფორმოს წერილობით. .სასურველია სკოლას ჰქონდეს უფრო კონკრეტული ინსტრუმენტები (მაგ. მოსწავლეთა რეფლექსიური ჩანაწერების შაბლონები, დიაგნოსტიკური შეფასების ნიმუშები, ფოკუს-ჯგუფის კითხვები და ა. შ.) ეს სკოლას დაეხმარება მომავალში, რომ მონიტორინგმა და შეფასებამ უფრო ეფექტურად გამოხატოს და ასახოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება.
ინდიკატორი 2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	სკოლამ შეფასების პროცესში გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, მრავალ სხვადასხვა წყაროსა და რესურსზე დაყრდნობით. (თვითშეფასება, საგანმანათლებლო დაკვირვება, სასკოლო შეფასების პრინციპები, შეფასების რუბრიკები, სოლო ტაქსონომია, სტატისტიკური რესურსი და სხვა)



ინდიკატორი 2.3.2.2	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	სკოლამ ურთიერთდაკავშირებულად /სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით მოახდინოს ვთქვათ, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. ამ დროს მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოიპოვება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა.
ინდიკატორი 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა.



ინდიკატორი 2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტიკას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.
ინდიკატორი 2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.
ინდიკატორი 2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს	სკოლამ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება შეიძლება გათვალისწინებული იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და შეფასების მიხედვით, დახარვეზებული კრიტერიუმები შეფასდა მეტწილად შესაბამისად, კერძოდ, N3.4.1.1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას - არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა 26/02/2025 წარმოადგენა შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, ასევე მეტწილ შესაბამისად შეფასდა 2.1.2.3 ინდიკატორი - ამ ეტაპზე სკოლა ვერ უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში 01.08.2025 უზრუნველყოფს სპორტული დარბაზის/გარე მოედნის მოწყობას. ასევე ნაწილობრივ შესაბამისად შეფასდა 3.4.1.3. და 3.5.1.4. ინდიკატორები, რომლებიც სკოლის განმარტებით განხორციელდება 01.08.2026 პერიოდში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, იგი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და ორიენტირებულია სკოლის საზოგადოებაზე და სკოლის, როგორც საგანმანათლებლო ორგანიზაციის არსებობაზე.

სკოლის მისიას უსაფრთხო და შესაძლებლობებით მრავალფეროვან გარემოში მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება, პატრიოტული ცნობიერების, დემოკრატიული ღირებულებების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი, ინტელექტუალურად განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბება. სკოლის ხედვაა, გახდეს წამყვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამის განათლების მიმწოდებელთა შორის. მისი თითოეული მოსწავლე აღიჭურვოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით. კერძოდ, ხელი შეუწყოს მოსწავლეების განვითარებას ისეთი მიმართულებით, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, კონკურენტუნარიანი გარემოს მიმართ

პასუხისმგებლიანი მოქალაქის აღზრდა. სკოლა ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: გამჭვირვალობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა, გუნდურობა, ერთგულებაგამომდინარე აქედან სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება განათლების ეროვნულ მიზნებს;

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს** - სკოლას საკუთარ ხედვაში გაცხადებული აქვს საკუთარი როლი, ქმნის უსაფრთხო გარემოს, სკოლა პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული და ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს;

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით** - სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანების მიხედვით შექმნილია მისიას, ხედვასა და ღირებულებებზე მომუშავე სარევიზიო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს მასწავლებელს, ადმინისტრაციას, მოსწავლესა და მშობელს. შესაბამისად ამ ჯგუფიდან გამომდინარე ჩანს სკოლის საზოგადოების ჩართულობა.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**; ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რასაც ისინი ადასტურებენ ხელმოწერით. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის მისია და ხედვა გამოკრულია ფოიეში. ვებ-გვერდის საშუალებით გაზიარებულია აღნიშნული დოკუმენტები.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**; - საჯაროდ არის მისაწვდომი მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლის ვებ-გვერდზე <https://skolebi.emis.ge/schools/895>

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“. სკოლის სრული სახელწოდებაა: სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- მშობელთა კრების ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინების შესახებ. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპს მოიცავს სკოლის პერსონალის, ბენეფიციარის და სხვა დაინტერესებული პირებისგან ინფორმაციის შეგროვება. შემდეგ, მეორე ეტაპი მოიცავს, მიღებული ინფორმაციის ანალიზს. შემდეგ, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას და ანალიზს, რის შედეგადაც, გამოვლინდება ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს - სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკოლაში განსაზღვრული ჯგუფის მიერ. სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები : სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. აღნიშნულ მიმართულებებს მოჰყვებათ შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზისას დგინდება, რომ გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს;

3. 1. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას - სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, მას ასევე წარმოდგენილი ჰქონდა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და გარდა სტრატეგიული გეგმისა, ერთწლიანი სამოქმედო

გეგმა ასევე ეფუძნება სკოლის დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშს. სკოლის დირექტორის ანგარიში კი ეფუძნება საგნობრივი კათედრების ანგარიშს;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია - სამოქმედო გეგმაში, თითოეული აქტივობის შესაბამისად, მოცემულია შეფასების გაზომვადი ინდიკატორები, თითოეულ აქტივობას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი / პირები და შესრულების თარიღები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა;
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს - სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს თავს - „შესრულების მონიტორინგი“. აღნიშნულ თავში გაწერილია ის ძირითადი ამოცანები რომლებსაც ეყრდნობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი. ;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - სკოლას დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში, რაც სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად გასაანალიზებელი ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული ანგარიში ეხება გასულ 2023-2024 სასწავლო წელს და მასში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, ანგარიშს დანართის სახით ერთვის ინფორმაცია და მტკიცებულებები კათედრების ანგარიშები და განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა - სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემულია შედეგების გაზიარების მექანიზმები, რომლებიც გულისხმობს საჯაროობას. რადგან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ჯერ არ ჰქონდა მას გაზიარებული შედეგები. სრულ შესაბამისობაშია;

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის - სკოლის დირექტორის, გასული სასწავლო წლის ანგარიში მრავალმხრივია და მოიცავს ძირითად საკითხებს, მოსწავლეებს მათ შედეგებს, პედაგოგებსა და მათ შედეგებს. ანგარიში შემუშავებულია საგნობრივი კათედრების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე. ანგარიშების საფუძველზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ სკოლის შემდგომი განვითარებისათვის, სკოლას აქვს მზაობა, მომავალ პრაქტიკაში დაგეგმოს და გამოიყენოს გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზის. ამასთანავე, რადგანაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის დირექტორის 2022-2023 სასწავლო წლის ანგარიში;
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - საჯარო სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრული და შეთანხმებულია განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. გაზიარებულია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები, სკოლის ექთანი, დარაჯი და დამლაგებელი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობისა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და და „საჯარო სკოლის წესდების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები;
2. 1. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას - თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი;

სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები;

სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება პერსონალის მართვის პროცესები;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით გაწერილია განსახორციელებელი ამოცანები, რომელთა შორისაც ვხვდებით: ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად შესაძლებლობები ანალიზი და შეფასება; ანალიზის შედეგად საჭიროებების დადგენის შემთხვევაში გაუმჯობესების გზების ძიება;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით - სკოლას აქვს სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი, რომელიც შემუშავებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს თანამშრომლის მიღების წესი, სადაც ასახულია თანამშრომლის აყვანის წესი დირექცია - ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის მიღების წესი. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და დირექციის წარმომადგენლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ. ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პედაგოგთა და სხვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს - დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ

მუშაობას. ამის დასტურია დოკუმენტებზე მუშაობის გაზიარება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო;

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი - სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის პედაგოგთა შესარჩევი კონკურსის მასალები,
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის სკოლასა და თანამშრომელს შორის დადებული ხელშეკრულებები;
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის მიერ განთავსებული ინფორმაცია ვაკანსიის გამოცხადების შესახებ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები - სკოლას მასწავლებლის საჭიროების დადგენის მექანიზმად წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა, გაკვეთილის გეგმის შეფასების სქემა. სკოლას ასევე ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის ფუნქციებში შედის მასწავლებელთა მუდმივი დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირი. რაც შეეხება პერსონალის შეფასებას და მათ პროფესიულ მხარდაჭერას, სკოლას მომავალში დაგეგმილი აქვს, შეფასებისა და წახალისების მიზნით, შექმნას ჯგუფი, რომელიც შეაფასებს ადამიანური რესურსის მუშაობას, საქმიანობას და წახალისების ინიციატივით მიმართავს სკოლის დირექტორს; სკოლას აქვს გაწერილი პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად - მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების დადგენა ხორციელდება ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირის

საშუალებით, რაც შეეხება სხვა პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების დადგენა, ხდება დაკვირვებით და თვითშეფასების საფუძველზე. აღნიშნულ პუნქტს არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას** - სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლამ აღნიშნა, რომ მასწავლებლები ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგში. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალის კარიერული წინსვლის ხელშემწყობ მექანიზმს, სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს პერსონალის წინსვლას პროფესიაში.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან** - სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. ამის დასტურია დოკუმენტებზე მუშაობის გაზიარება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარება;

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები** - სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად - სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლაში ასევე შექმნილია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. კონკრეტული განსახორციელებელი სამუშაოები და

განხორციელების პერიოდი. აღნიშნულ გეგმაში შედის, ხარისხის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის მიხედვით შესრულებული აქტივობების მონიტორინგი. მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების შემოწმება, გაკვეთილზე დასწრება და საგაკვეთილო პროცესის ხარისხის შემოწმება, ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლების შემოწმება და ა.შ.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები - სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს - სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურა. აღნიშნული დოკუმენტი ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე;

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები - სკოლას შემუშავებული აქვს, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს, თითოეული მათგანის უფლებებს. ხოლო უფლებების დარღვევის შემთხვევაში, სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტები ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურები“ - დოკუმენტი
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი“
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი“

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები - სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება, რომელიც არეგულირებს მშობელთან კომუნიკაციის მექანიზმებს. მათი და სკოლის უფლებებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით რეგულირდება უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების მექანიზმი. ასევე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ა.შ.;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა - დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემადგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს

შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 1. - სკოლაში შექნილია თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები. სკოლას შემუშავებული არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ. აქვს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ., სკოლას შესაბამისობის დოკუმენტში გაწერილი აქვს აღნიშნული საკითხების უზრუნველყოფა. სკოლას ასევე არ ჰყავს აყვანილი შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს აქტივობების განხორციელება. კერძოდ, ა) შენობის მდგრადობის/ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება 26/02/2025-მდე, ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან 27/03/2025-მდე.

სკოლას მიეცა რჩევა განახორციელოს სათანადო ღონისძიებები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესასრულებლად,

სკოლას მიეცა რჩევა: აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.ს სკოლაში და მოვიდეს შესაბამისობაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მცენიერების კულტურისა და სპროტის მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში არის 41/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანნი, შესყიდული აქვთ მედიკამენტები
3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას** - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მცენიერების კულტურისა და სპროტის მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი, ხოლო სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მორიგე მასწავლებლები.სკოლას მანდატური არ ჰყავს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები (თამბაქოს მოხმარების აკრძალვა, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ.), რითაც რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლას აქვს 1 ვიდეოთვალი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა მოხდება 01.08.2026. **ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება;**
4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს** - ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში იგრძნობოდა კეთილგანწყობილი და პოზიტიური შეხვედრა, საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც თავისთვად ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაში გარკვეულ როლს თამაშობს. გარდა ამისა, სკოლის ინფრასტრუქტურა (სამასწავლებლო, სამუშაო სივრცეების, საკლასო ოთახები) და სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს; **ინდიკატორი შესაბამისია;**



5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას** - სანიტარული ნორმების დაცვის თვალსაზრისით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. **ინდიკატორი შესაბამისია;**
6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას** - სკოლა გარკვეულწილად უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. **რჩევა** სკოლამ აიყვანოს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისია;**
7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები** - სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებ-გვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. **ინდიკატორი შესაბამისია;**
8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის** - სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრულნი არიან პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი შესაბამისია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალირება;
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემებთან დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით -. სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრი. წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით სკოლა მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთში. სკოლის მფლობელობაშია N1 სკოლის შენობა-ნაგებობა, N1 დამხმარე შენობა-ნაგებობა;

სკოლა ორ სართულიანია სადაც განთავსებულია - სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, საკლასო ოთახები, საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით. 1 რესურსოთახი, ბიბლიოთეკა. საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, 17 კომპიუტერი, 32 ლეპტოპები, 6 პრინტერი, 2 პროექტორი.. სარეკრეაციო ზონა და ღონისძიებების ჩასატარებელი სივრცე მოწყობილია დერეფანში; სკოლაში არის ინტერნეტი და wi-fi, სკოლაში გათბობა ხდება ცენტრალური გათბობით. შენობის შემოსასვლელში მოწყობილია პანდუსი. სკოლას არ აქვს შიდა სპორტული მოედანი, სპორტის პედაგოგის განმარტებით ზამთრის პერიოდში იყენებენ საკლასო ოთახს. აქვს გარე მოედანი. შენობის როგორც შიდა ასევე გარე სივრცეებში მოწყობილია საპირფარეშოები გოგონების დაა ვააჟების. ასევე ადაბტირებული საპირფარეშო, რომელიც ხელმისაწვდომ ადგილზეა გათავსებული. სკოლაში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 12 ფინანსური კლასი, ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხება 159 მოსწავლე, მოთხოვნა არის 200 მოსწავლეზე. მერხების რაოდენობა ადგილზე არის 230.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის - მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო , შიდა მოწყობილი სივრცეები) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის; ინდიკატორი შესაბამისია;

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით - სკოლას აქვს ბიბლიოთეკა (წიგნების საცავი და სამკითხველო), ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს მხატვრულ ლიტერატურას და სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეულ სახელმძღვანელოებს. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით - ბეჭდითა და საინვენტარო ნომრებით სათანადო გვერდზე. საინვენტარო წიგნი არსებობს მატერიალური სახით. ბიბლიოთეკაზე გამოკრულია სამუშაო საათები. ინდიკატორი შესაბამისია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს - სკოლის შენობა ორ სართულიანია, ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. რადგან სკოლის ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები განთავსებულია შენობის მეორე სართულზე და არ არის ლიფტი, ან პანდუსი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული საკითხის მოგვარება იგეგმება 01.08.2026 . სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება;

5.. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას - სკოლის ინფრასტრუქტურა (ღია სპორტული მოედანი(სარეაბილიტაციო) , სკოლის ეზო), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. ინდიკატორი შესაბამისია;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- · სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალირება;
- · სსიპ- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფუთის საჯარო სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
